ПРОЛЕТАРЛЕБО УВЕЛА ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი № 37 (12853) | ხუთშაბათი, 13 თებერვალი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ნოგათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს

თებერვლის ანგარიშში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმს შრომითი წარმატებით შეხვდა პერვომაისის სახელობის მაღაროს კოლექტივი. იანვრის გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეესრულეთ და თებერვლის ანგარიშში ათასობით ტონა მარგანეცი მივიცეთ სამშობლოს.

ბ. ჭანტურიძე,
ჭიათურის მარგანტრესტის პერვომაისის მაღაროს მთავარი ინჟინერი.

უპატაკებენ ბათუმელები

ბათუმი. (საქდესი). კარგი შრომითი საჩუქრებით შეხვდნენ ბათუმელი მანქანათმშენებლები სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმს. საწარმოს კოლექტივი ახლა მუშაობს თებერვლის მეორე ნახევრის ანგარიშში. ჩვენი მკვეთლის კვების მრეწველობის საწარმოებისათვის დამზადებულია 150-ზე მეტი სხვადასხვა მანქანა და აგრეგატი. მათ შორის შ. მარდალეიშვილის სისტემის ჩაის საღნობი აგრეგატები, მწვანე ჩაის სახარისხებელი მანქანები, როლერები, ხილისა და ბოსტნეულის საქუცმაცებლები, კალორიფერები.

გეგმის გადამეტებით

— ახალი შრომითი მაჩვენებლებით შეეხვდეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმს — ასეთი დევიზით შრომობდა თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის კოლექტივი და პლენუმის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით ახალი წარმატება მოიპოვა. იანვრის საწარმოო გეგმა ქარხანამ 102,7 პროცენტით შეასრულა.

პროდუქციის სიუხვისათვის

ჩენი ბრიგადა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელის მოპოვებისათვის იბრძვის. გასულ წელს საშუალოდ ჰექტარზე 37 ცენტნერი სიმინდი და 70 ცენტნერი ყურძენი მივიღეთ.

უკეთესი მოსავლისათვის ვიბრძვით წელს. ამაში დაგვეხმარება აგროქიმიური სკოლაში მიღებული ცოდნა. ბრიგადა წელს საშუალოდ ჰექტარზე 45 ცენტნერ სიმინდსა და 75 ცენტნერ ყურძენს მიიღებს.

ს. შუკაკიძე,
საჩხერის რაიონის სოფელ საირხის კოლმეურნეობის ბრიგადირი.

ამ დღეებში

ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმისათვის მზადების დღეებში ახალ შრომითს გამარჯვებას მიაღწია თბილისის № 1 ავტოსარემონტო ქარხნის კოლექტივმა: იანვრის გეგმა ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულა და რემონტიდან დამატებით ათი სატვირთო მანქანა და სამი ავტობუსი გამოუშვა.

ეს შრომითი წარმატება სარემონტო ქარხნის კოლექტივმა ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიუძღვნა.

საგარეჯოს საწარმოო სამმართველოში 63 აგროქიმიურმა სკოლამ უკვე დაიწყო მუშაობა.

სურათზე: სოფელ პატარძეულის მექანიზატორები ვანო უნაფქოშვილი და ედუარდ ქართველიშვილი აგროქიმიურ სკოლაში სწავლობენ მინერალური სასუქების შემადგენლობისა და გამოყენების ხერხებს.

ფოტო ს. კილაძისა.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1964 წლის 12 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

დილის სხდომაზე თანამოხსენებანი საკითხზე — „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია სასუქების ფართოდ გამოყენების, მორწყვის განვითარების, კომპლექსური მექანიზაციისა და მეცნიერების მიღწევათა მოწინავე გამოცდილების დანერგვის საფუძველზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების უსწრაფესად გადიდებისათვის“ გააკეთეს: ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. მ. ი. გრიგალუნასმა, ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ვ. გ. სტროგანოვმა, თურქმენეთის სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. რ. ა. ჩარიევმა, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. ე. გ. ტინურისტმა, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ამხ. გ. ს. პეტროსიანმა.

პლენუმზე დაიწყო მოხსენებისა და თანამოხსენებათა განხილვა. კამათში გამოვიდნენ ამხანაგები: მ. ა. ოლშანსკი (სრულიად საკავშირო ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი), ა. ი. ბარაევი (სრულიად საკავშირო მარცვლეულის მეურნეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, ყამირის მხარე), მ. ე. მაცეპურო (სსრ კავშირის არაშავმიწანიადაგიანი ზონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი).

საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ ამხანაგები: ბ. ლ. რინდინი (ზიმოვნიკის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საწარმოო სამმართველოს ზიმოვნიკის № 163 ცხენსაშენის დირექტორი, როსტოვის ოლქი), ე. ს. სმირნოვი (საბჭოთა მეურნეობა „გორნის“ დირექტორი, ყირიმის ოლქი), ბ. ს. დავთიანი (სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აგროქიმიის ლაბორატორიის დირექტორი), შ. შ. ხაირულინი (სარეო-საზორცე მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, ორენბურგის ოლქი), ა. ნ. ასკოჩენსკი (საბჭოთა კავშირის ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის განყოფილების აკადემიკოსი-მდივანი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობს.

ავიღოთ შვიდწლედის ახალი ზღუდეები

მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის თათბირი

12 თებერვალს დილიდანვე უზეკულო გამოცოცხლება იგრძნობოდა რესპუბლიკის მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს სხდომათა დარბაზში. აქ თათბირის მონაწილენი ითვალიერებდნენ პლასტმასებისა და პოლიმერებისაგან დამზადებული დეტალების გამოფენას, საუბრობდნენ მანქანათმშენებლობაში დიდი ქიმიის მიღწევების დანერგვაზე, არსებულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც აბრკოლებს საწარმოთა გამართულ მუშაობას.

დღის 12 საათია. საწარმოთა სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის თათბირი გახსნა საქართველოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ჭუმბურიძემ.**

მოხსენება მანქანათსამშენებლო მრეწველობის 1963 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და მიმდინარე წლის ამოცანების შესახებ გააკეთა სამმართველოს უფროსმა **ვ. ვადაჭკორიამ.**

მოხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ შვიდწლედის მეხუთე წელი მანქანათმშენებლებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 104,4 პროცენტით შესრულდა. ზოგიერთ სახეობათა პროდუქციის გამოშვებაში მიღწეულია შვიდწლედის უკანასკნელი წლისათვის დასახული წარმოების დონე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მანქანათსამშენებლო მრეწველობაში წელს გეგმით-ზარალიანი საწარმო აღარ არის.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. გომელაურმა.**

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ **გ. გეგეშიძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ფრუიძემ.**

თათბირის მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი და ერთსულოვნად გადაწყვიტეს:

1. საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდწლიანი გეგმა შეასრულონ 6 წელიწადსა და 10 თვეში და გეგმის გადამეტებით გამოუშვან ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია.

2. 1964 წლის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის.

3. შრომის ნაყოფიერება 1963 წელთან შედარებით აამაღლონ 10 პროცენტით.

4. პროდუქციის თვითღირებულება 1964 წლის გეგმასთან შედარებით შეამცირონ 0,1 პროცენტით და ამის შედეგად შვიდწლედის ეკონომიის ფონდში შეიტანონ 230 ათასი მანეთი.

5. 1963 წელთან შედარებით წუნით გამოწვეული ზარალი შეამცირონ 5 პროცენტით.

6. ვადამდე შეასრულონ ქიმიური მრეწველობის დაკვეთები. 1964-1965 წლების განმავლობაში ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაში აითვისონ 7 სახეობის მანქანები ქიმიური მრეწველობისათვის, მათ შორის საწამლავი ქიმიკატების ავტომატების 4 სახე სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად.

7. მეტალურგიული მრეწველობისათვის გამოუშვან სპეციალური მძიმე ჩარხების ათი ახალი მოდელი.

8. 1965 წელს აითვისონ ახალი მანქანების წარმოება საირიგაციო სამუშაოებისათვის, მათ შორის მცურავი მიწისმწოვი მოწყობილობა საათში 2.000 კუბმეტრის წარმადობისა.

9. რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვით 1964 წელს მიიღონ სულ მცირე 2 მილიონი მანეთი და 1965 წელს — 2,5 მილიონი მანეთი ეკონომია.

10. კონსტრუქციების გაუჭრობესებით პოლიმერული მასალების გამოყენებით მიიღონ 315 ტონა შავი ლითონის, 9,5 ტონა ფერადი ლითონისა და 126 ტონა თუჯის ეკონომია.

11. ფართოდ დანერგონ წარმოებაში პოლიმერული მასალები და 1964 წლის განმავლობაში მათგან დამზადებული ნაწილების ნომენკლატურა აიყვანონ 200-მდე.

მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის თათბირმა, იკისრა რა ეს ვალდებულებანი, რესპუბლიკის ყველა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს მიმართა მოწოდებით ფართოდ გაშალონ შეჯიბრება შვიდწლედის მეექვსე წლის დავალების ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით შესრულებისათვის.

ავღანეთის მთავრობა მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვის წერილს

მოსკოვი, 11 თებერვალი. (საქდესი). ავღანეთის მთავრობა მიესალმება და ეთანხმება თქვენს წერილს, რადგან მისი შინაარსი დაკავშირებულია მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებასთან, აგრეთვე სამართლიანობისა და ხალხების უფლებათა უზრუნველყოფასთან, წერს ავღანეთის პრემიერ-მინისტრი დოქტორი მუჰამედ იუსუფი პასუხად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის 1963 წლის 31 დეკემბრის წერილისა მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოთა (მთავრობათა) მეთაურებისადმი.

მშვიდობის შენარჩუნება, საერთაშორისო ურთიერთგაგების შექმნა და განმტკიცება, წერს პასუხში მუჰამედ იუსუფი, ავღანეთის ხალხის გულწრფელი სურვილია. ჩვენ, წერს იგი, მივესალმეთ როგორც დადებით ნაბიჯს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ჩვენ, აღნიშნავს მუჰამედ იუსუფი, დარწმუნებული ვართ, რომ ურთიერთგაგებისა და მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით უნდა გადაიჭრას სახელმწიფოთა ის უთანხმოებანი, რომლებიც გამოწვეულია ინიციდენტებითა და კოლონიალიზმის ეპოქის ნაშთებით.

სირია მხარს უჭერს...

მოსკოვი, 12 თებერვალი. (საქდესი). სირიელი ხალხი ჯეროვან პატივს სცემს და მხარს უჭერს იმ დადებით ინიციატივას, რომელიც საბჭოთა კავშირმა გამოიჩინა, ნათქვამია სირიის არაბთა რესპუბლიკის რევოლუციური სარდლობის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გენერალ მ. ამინ ჰაფეზის პასუხში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის 1963 წლის 31 დეკემბრის წერილზე.

ცნობები მეექვსე კონტინენტიდან

ლენინგრადი 11 თებერვალი (საქდესი). რადიოგრამები, რომლებიც დღეს მიიღეს მეექვსე კონტინენტიდან არქტიკულ და ანტარქტიკულ ინსტიტუტში, გადმოსცემენ საბჭოთა მკვლევარების დაძაბულ მუშაობას.

სამმა თვითმფრინავმა „ილ-14“ სადგურ „ვოსტოკში“ მიიტანეს ბევრი ტვირთი. იქვე ჩავიდნენ ყველგანმავალების მძღოლი-მექანიკოსები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მუხლუხა მარხილებიანი მატარებლის მომავალ ლაშქრობაში ვოსტოკ-მირნის მარშრუტით. ძნელი რეისისათვის ემზადება საბჭოთა და ფრანგ მეცნიერთა ჯგუფი.

წარმატებით მიმდინარეობს მუხლუხა-მარხილებიანი მატარებლის ლაშქრობა, რომელიც მიდის მარშრუტით ვოსტოკი-მოლოდიოჟნაია (ენდერბის მიწა). მატარებლის გზა გადის ანტარქტიდის გამოუკვლევ რაიონში. ყოველი 200 კილომეტრის შემდეგ საბჭოთა გლაციოლოგები აწარმოებენ ყინულოვანი პლატოს სეისმოზონდირებას, გლაციოლოგიურ და მაგნიტურ დაკვირვებას.

ლაშქრობის ხელმძღვანელი ა. კაპიცა რადიოთი იტყობინება, რომ შედარებით მიუღწევლობის პოლუსიდან 340 კილომეტრზე — რაიონში, სადაც არასდროს არ დაუდგამს ადამიანს ფეხი, მოწყობილია ასტრონომიული პუნქტი.

თავისუფლება სამხრეთ ვიეტნამს!

საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც კვლავ დაადასტურა თავისი სოლიდარობა სამხრეთ ვიეტნამის ხალხისადმი და ხმა აიმაღლა სანინაო საქმეებში ამერიკელ იმპერიალისტთა შეიარაღებული ჩარევის წინააღმდეგ.

მილიონობით საბჭოთა ადამიანის სახელით განცხადებაში გულისწყრომით არის დაგმობილი ამერიკელ იმპერიალისტთა სისხლიანი დანაშაულებანი სამხრეთ ვიეტნამში, და კერძოდ, ის, რომ თვითმფრინავებიდან შხამქიმიკატებს აფრქვევენ სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე. ამის შედეგად მარტო ერთ კა მაუს პროვინციაში სერიოზულად დაშავდა დაახლოებით 5 ათასი მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის 3 ათასი ბავშვი. მოწამლულია ასობით ჰექტარი ყანები და ბაღები, დაიღუპა ბევრი შინაური პირუტყვი.

ჩვენ გადაჭრით მოვითხოვთ დაუყოვნებლივ შეწყდეს აგრესია სამხრეთ ვიეტნამში და იქიდან გაიყვანონ ამერიკის შეერთებული შტატების მთელი ჯარები, გაიტანონ შეიარაღება და სამხედრო ტექნიკა, აცხადებს საბჭოთა კავშირის აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტი. (საკდესი).

წიგნი ვ. ი. ლენინის საერთაშორისო-თეორიული მემკვიდრეობის შესახებ

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა თანამედროვე ეპოქაში მშრომელთა შეიარაღებული ბრძოლის საკითხებს და ომის განსაკუთრებულ სპეციფიკურ კანონებს სოციალისტური სამშობლოს დაცვაში.

გაითვალისწინა რა საბჭოთა ადამიანების სურვილები, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო გამომცემლობამ გამოსცა წიგნი „ვ. ი. ლენინის სამხედრო-თეორიული მემკვიდრეობა“. კრებული მოამზადა ავტორთა კოლექტივმა.

ჯილდო — ღირსეულთ!

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის სამმართველოების, სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების მიერ წარდგენილი 1963 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებისა და ორგანიზაციების სოციალისტური შეჯიბრების მასალები.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა, მშენებლობათა და ორგანიზაციათა შორის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად აღიარებული არიან: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, თბილისის № 1 ღვინის ქარხნის, თბილისის კერამიკული კომბინატის კოლექტივები. მათ გადაეცათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემიები.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემიები მიიპოვეს ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის, ჭიათურმარგანეცის ტრესტის პერვომაისის მაღაროთსამმართველოს, თბილისის ფარმაცევტულ-ქიმიური ქარხნის, თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის, ქარხანა „თბილხელსაწყოს“, თბილისის საკონდიტრო კომბინატის, ბორჯომის შუშის ქარხნის, თბილისის ჩაის საწინი ფაბრიკის, ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის, რუსთავის ცემენტის ქარხნის კოლექტივებმა.

მეორე ფულადი პრემია გადაეცათ ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ორჯონიკიძის სახელობის შახტის, „საქნავთობის“ ტრესტის გაერთიანებული ნავთობსარეწის, საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის ბოლნისის მაღაროთსამმართველოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მეორეული და ფერადი ლითონების დამზადების, გადამუშავებისა და გასაღების სამმართველოს, ქარხანა „ბორიხელსაწყოს“, მარელისის ავეჯის ფაბრიკის, თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“, რუსთავის მექანიკური ქარხნის, თბილისის ხალის საქსოვი ფაბრიკის, ავეჯალის შუშის ქარხნის, თბილისის კოტნის წინდის ფაბრიკის, გომის სპირტის ქარხნის, თბილისის ლიქიორის ქარხნის, თბილისის კონიაკის ქარხნის, თბილისის ლითო-ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის, თბილისის № 2 თამბაქოს ფაბრიკის, თბილისის საშენ მასალათა კომბინატის კოლექტივებს.

მესამე ფულადი პრემიები მიიღეს საქართველოს სამთამადნო მრეწველობის ტრესტის საქართველოს აფეთქებით საშუშაოთა მწარმოებელი სამმართველოს, ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს, თბილისის ქარხანა „ელექტროძრავის“, წნორის მექანიკური ქარხნის და სხვ. კოლექტივებმა.

საქართველოს პროფსაბჭომ და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ აღნიშნეს მთელი რიგი საწარმოების კოლექტივთა კარგი მუშაობა.

საქართველოს პროფსაბჭომ და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭომ აღნიშნეს კიდევ, რომ 1963 წელს საწარმოთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ვერ შეასრულა მთლიანი პროდუქციის წარმოების გეგმა შრომის არადამაკმაყოფილებელი ორგანიზაციის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ აკლდათ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

რესპუბლიკის პროფსაბჭომ და სახალხო მეურნეობის საბჭომ დაავალეს სამმართველოების, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ტრესტების ხელმძღვანელებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს შეიტანონ ამ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზები და კონკრეტული ღონისძიებანი განახორციელონ იმისათვის, რომ ჩამორჩენილი საწარმოები მოწინავეთა დონემდე აიყვანონ.

(საქდესი).

ავილოთ შვიდწლედის ახალი ზღუდეები

მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის თათბირი

12 თებერვალს დილიდანვე უზეკულო გამოცოცხლება იგრძნობოდა რესპუბლიკის მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს სხდომათა დარბაზში. აქ თათბირის მონაწილენი ითვალიერებდნენ პლასტმასებისა და პოლიმერებისაგან დამზადებული დეტალების გამოფენას, საუბრობდნენ მანქანათმშენებლობაში დიდი ქიმიის მიღწევების დანერგვაზე, არსებულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც აბრკოლებს საწარმოთა გამართულ მუშაობას.

დღის 12 საათია. საწარმოთა სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის თათბირი გახსნა საქართველოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ჭუმბურიძემ.**

მოხსენება მანქანათსამშენებლო მრეწველობის 1963 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებისა და მიმდინარე წლის ამოცანების შესახებ გააკეთა სამმართველოს უფროსმა **ვ. ვადაჭკორიამ.**

მოხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ შვიდწლედის მეხუთე წელი მანქანათმშენებლებმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 104,4 პროცენტით შესრულდა. ზოგიერთ სახეობათა პროდუქციის გამოშვებაში მიღწეულია შვიდწლედის უკანასკნელი წლისათვის დასახული წარმოების დონე. ხაზგასმით აღინიშნა, რომ მანქანათსამშენებლო მრეწველობაში წელს გეგმით-ზარალიანი საწარმო აღარ არის.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. გომელაურმა.**

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ **გ. გეგეშიძემ.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. ფრუიძემ.**

თათბირის მონაწილეებმა დასახეს კონკრეტული ღონისძიებანი და ერთსულოვნად გადაწყვიტეს:

1. საერთო პროდუქციის გამოშვების შვიდწლიანი გეგმა შეასრულონ 6 წელიწადსა და 10 თვეში და გეგმის გადამეტებით გამოუშვან ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია.

2. 1964 წლის გეგმა შეასრულონ 25 დეკემბრისათვის.

3. შრომის ნაყოფიერება 1963 წელთან შედარებით აამაღლონ 10 პროცენტით.

4. პროდუქციის თვითღირებულება 1964 წლის გეგმასთან შედარებით შეამცირონ 0,1 პროცენტით და ამის შედეგად შვიდწლედის ეკონომიის ფონდში შეიტანონ 230 ათასი მანეთი.

5. 1963 წელთან შედარებით წუნით გამოწვეული ზარალი შეამცირონ 5 პროცენტით.

6. ვადამდე შეასრულონ ქიმიური მრეწველობის დაკვეთები. 1964-1965 წლების განმავლობაში ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხანაში აითვისონ 7 სახეობის მანქანები ქიმიური მრეწველობისათვის, მათ შორის საწამლავი ქიმიკატების ავტომატების 4 სახე სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად.

7. მეტალურგიული მრეწველობისათვის გამოუშვან სპეციალური მძიმე ჩარხების ათი ახალი მოდელი.

8. 1965 წელს აითვისონ ახალი მანქანების წარმოება საირიგაციო სამუშაოებისათვის, მათ შორის მცურავი მიწისმწოვი მოწყობილობა საათში 2.000 კუბმეტრის წარმადობისა.

9. რაციონალიზატორულ წინადადებათა და გამოგონებათა დანერგვით 1964 წელს მიიღონ სულ მცირე 2 მილიონი მანეთი და 1965 წელს — 2,5 მილიონი მანეთი ეკონომია.

10. კონსტრუქციების გაუჭრობესებით პოლიმერული მასალების გამოყენებით მიიღონ 315 ტონა შავი ლითონის, 9,5 ტონა ფერადი ლითონისა და 126 ტონა თუჯის ეკონომია.

11. ფართოდ დანერგონ წარმოებაში პოლიმერული მასალები და 1964 წლის განმავლობაში მათგან დამზადებული ნაწილების ნომენკლატურა აიყვანონ 200-მდე.

მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოთა სამეურნეო და პროფკავშირული აქტივის თათბირმა, იკისრა რა ეს ვალდებულებანი, რესპუბლიკის ყველა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს მიმართა მოწოდებით ფართოდ გაშალონ შეჯიბრება შვიდწლედის მეექვსე წლის დავალების ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლით შესრულებისათვის.

ჩრდილოეთ ვიეტნამი

ჰანოი, 12 თებერვალი. (საქდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა, ხაზგასმულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო აძლიერებენ სამხრეთ ვიეტნამის მარიონეტული მთავრობისადმი სამხედრო დახმარებას სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვიეტნამელი ხალხი და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, აღნიშნულია განცხადებაში, კვლავ დაბეჯითებით მოითხოვენ ბოლო მოეღოს ომს სამხრეთ ვიეტნამში, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ინდოჩინეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას, გაიყვანონ სამხრეთ ვიეტნამიდან ამერიკის ჯარები, მტკიცედ დაიცვან ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის შესახებ.

მოსკოვს მოვიდოგის საფრთხე!

ჰანოი, 12 თებერვალი. (საქდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა, ხაზგასმულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ვიეტნამის მარიონეტული მთავრობა ვიეტნამის სამხრეთ ვიეტნამის ეროვნული საფრონტის ტერიტორიაზე ატომურ იარაღს ამზადებს.

საგანგებო სესია დარ-ეს-სალამში

დარ-ეს-სალამი, 12 თებერვალი. (საქდესი). დღეს აქ გაიხსნა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრების საბჭოს საგანგებო სესია. სესიის მუშაობაში მონაწილეობენ აფრიკის 29 დამოუკიდებელი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები.

ბოლის ვოიაჟი ნიქოზიაში

ნიქოზია, 12 თებერვალი. (საქდესი). დღეს ნიქოზიაში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯორჯ ბოლი. როგორც ასოშიეიტედ პრესის საგაგეტო იუწყება, ბოლს განზრახული აქვს შეხვედეს კვიპროსის პრეზიდენტს მაკარიოსს და წარუდგინოს მას კუნძულზე საერთაშორისო შეიარაღებული ძალების განლაგების „გადასინჯული ინგლის-ამერიკის გეგმა“.

„მოელიან, რომ ამერიკელ დიპლომატს გაუძნელდება თავს მოახვიოს მაკარიოსს ეს უახლესი გეგმა, — ნიქოზიიდან იტყობინება იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი“.

დუგლას-ჰიუმის განცხადება

ოტავა, 12 თებერვალი. (საქდესი). ინგლისს პრემიერ-მინისტრმა დუგლას-ჰიუმმა გუშინ აქ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ მან ჯერ კიდევ არ იცის, თუ რა ფორმით უნდა მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო შეიარაღებულმა ძალებმა „წესრიგის დამყარებაში კვიპროსზე“. მან აზრი გამოთქვა იმის წინააღმდეგ, რომ შეიარაღებულ ძალებს კონტროლოს უწევდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო.

პრემიერ-მინისტრმა შემდეგ აღნიშნა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის, რომ საერთაშორისო საპოლიციო ძალები გაიგზავნის სხვა დაუფუძნარებელ რაიონებში, როგორც არის, მაგალითად, აღმოსავლეთი აფრიკა და სამხრეთ-აღმოსავლეთი აზია. ამ ძალებს „კარგი სარდლობა“ უნდა ჰყავდეთ, განაცხადა ჰიუმმა. მისი აზრით, ინგლისელ ოფიცრებს შეუძლიათ გახეხორციელონ ასეთი სარდლობა.

დუგლას-ჰიუმმა ხაზგასმით აღნიშნა: ეჭვი არ მეპარება, რომ საბჭოთა კავშირს განზრახული არ აქვს გამოიყენოს ომი როგორც ეროვნული პოლიტიკის ინსტრუმენტი.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა აგრეთვე — მას დიდი ხანია მიაჩნია, რომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა კუთვნილ ადგილს დაიჭერდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ჩუსთაველი ქიმიკოსები დაუგავპილსში

ქართველ და ლატვიელ ქიმიკოსთა და მშენებელ-მემონტაჟეთა მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის წინა დღეებში, როცა გაზეთმა „კომუნისტმა“ თავის ფურცლებზე დაბეჭდა დაუგავპილსისა და რუსთავის სინთეზური ბოჭკოს ქარხნების დირექტორების ა. დრობიაზკოსა და გ. ბარამძისა ურთიერთსაპასუხო წერილები.

რუსთაველ ქიმიკოსთა და მშენებელთა დელეგაციის გამგზავრება მოძმე ლატვიელ კოლეგებთან პირველი მეგობრული ვიზიტია.

ქართველი ქიმიკოსები და მშენებელ-მემონტაჟეები დაუგავპილსში გაეცნობიან ლატვიელ თანამოსაქმეთა გამოცდილ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ამხ. ზ. ბ. გელდიაშვილის თანამოხსენება

ამხანაგებო! ცენტრალური კომიტეტის ეს პლენუმი განიხილავს საკითხებს, რომლებსაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. თუ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა საკითხები ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა მისი ქიმიზაციის საფუძველზე და უსაზღვრო შესაძლებლობანი გვიჩვენა ქიმიის გამოყენებისათვის სოფლის მეურნეობაში, ეს პლენუმი განიხილავს კონკრეტულ ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის მიხედვალური სასუქების ეფექტიანი გამოყენების, სარწყავი მიწათმოქმედების გაფართოების, კომპლექსური მექანიზაციის გამოყენებისა და წარმოებაში ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვის გზით.

სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ალოლოკინის მოხსენებაში დაწერილებით მოცემულია ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციისათვის, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართო მასშტაბით გამოყენების უკეთესი ორგანიზაციისათვის.

ახალ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო წარმოების კვალიფიკაციურ, სამეცნიერო ხელმძღვანელობას. ცხოვრებამ ნათლად დაგვანახვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად განხორციელებული პარტიული და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გარდაქმნა, რომელსაც საფუძვლად უდევს საწარმოო პრინციპი, დროული და დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

ახალი პარტიული ორგანოები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები წარმოების ნამდვილი ორგანიზატორები გახდნენ. ისინი კონკრეტულად სწავლობენ თვითეული კოლმეურნეობის ეკონომიკას და აქტიურ ზეგავლენას ახდენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაზე.

ჩვენს რესპუბლიკაში საწარმოო სამმართველოების სათავეში დგანან უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. დიდი მუშაობა განხორციელდა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების გამმტკიცებისათვის ხელმძღვანელი კადრებით: კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა 44 პროცენტს აქვთ უმაღლესი და 25 პროცენტს — საშუალო განათლება, ხოლო საბჭოთა მეურნეობების დირექტორების 90 პროცენტს — უმაღლესი განათლება. მარტო უკანასკნელი ორი წლის მანძილზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნილია 2.700-ზე მეტი უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტი. 700-ზე მეტი სპეციალისტი მმართველობის აპარატიდან სამუშაოდ გადავიდა უშუალოდ საწარმოო ბრიგადებსა და ფერმებში.

ახორციელებენ რა პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პირადად ამხანაგ ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვის მუდმივი დახმარებით უკანასკნელი თორეულის განმავლობაში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება 1,8-ჯერ გადიდდა, ციტრუსოვანთა ნაყოფისა — ორჯერ და უფრო მეტად, ხორცისა — 1,5-ჯერ, რძისა — 1,3-ჯერ, კვერცხისა 1,5-ჯერ. შესაბამისად გაიზარდა სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების მიყიდვა.

კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და ყველა მშრომელის თავდადებული შრომის შედეგად რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 1963 სამეურნეო წელი. სახელმწიფოს ჩაბარდა 186 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, ანუ 16 ათასი ტონით მეტი, ვიდრე გათვალისწინებული იყო შეიდწლედის უკანასკნელი წლის საკონტროლო ციფრებით. დიდი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფოსათვის ციტრუსოვანთა ნაყოფის მიყიდვის დავალება. მეჩაიეებსა და მეციტრუსეებს არ ჰამორჩენენ რესპუბლიკის მხვნელ-მთესველები: სახელმწიფოს მიეყიდა 12 მილიონ 300 ათასზე მეტი ფუთი მარცვალი, ანუ გეგმის 101,1 პროცენტი. ამდენი მარცვალი ჩვენს რესპუბლიკას წინათ არასოდეს არ დაუმზადებია. გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის, ხორცის, დაფნის ფოთლის, მატყლისა და ზოგიერთი სხვა პროდუქტის ჩაბარების დავალებანი.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრის მშრომელებმა თავიანთი მცირეი შრომისათვის მაღალი შეფასება დაიმსახურეს და ორჯერ მიიღეს სსკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება. ამ მისალმებებით აღფრთოვანებულმა სოფლის მშრომელებმა გააჩაღეს ბრძოლა იმისათვის, რომ მიმდინარე წელს უფრო მაღალ მოგებას მიაღწიონ.

ამხანაგებო! თავისი ბუნებრივ-ეკონომიური პირობებით ჩვენი რესპუბლიკა ჩაის ძირითადი მწარმოებელია, და ჩვენ შეგნებული გვაქვს ის პასუხისმგებლობა, რომელიც გვაკისრია. რესპუბლიკამ შექმნილია ინტენსიური დიდად განვითარებული ჩაის მეურნეობა. ჩვენმა მეცნიერებმა გამოიყენეს ძვირფასი ჯიშების ჩაი, შემუშავებულია აგროტექნიკური ღონისძიებათა კომპლექსი, რომელიც წლითიწლობით მდიდრდება მეცნიერების, მოწინავე პრაქტიკის გამოცდილების მიღწევებით.

მინერალური სასუქების რაციონალური და ეფექტიანი გამოყენება, მექანიზაციის დანერგვა უხვი და ყარი მოსავლის მიღების შესაძლებლობას გვაძლევს. თუ მინერალური სასუქების გამოყენებამდე ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე 1.200 კილოგრამს არ აღემატებოდა ახლა საშუალო მოსავლიანობა 3.600 კილოგრამს აღწევს, ცალკეულ მეურნეობებში კი საშუალოდ ჰექტარზე 6-7 ათას კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფენ. მაგრამ ეს ჯერ ის ზღვარი რიცხვი.

რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ იყენებენ მეჩაიეობაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევებს და ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ 1965 წელს მოკრეფონ და სამშობლოს მისცეს 200 ათასი ტონა ჩაი.

ჩაის ფოთლის კრეფა ყველაზე შრომატევადი და პასუხსაგები პროცესია ჩაის მოყვანაში. ჩაის მანქანების ინერნატებთან და კონსტრუქტორებთან საუბრის დროს ამხანაგმა ნ. ბ. ხრუშჩოვმა მათ მოუწოდა შეამსუბუქონ მეჩაიეთა მძიმე შრომა, აღნიშნა, რომ საჭიროა დაჩქარდეს მუშაობა ჩაის საკრეფი მანქანების გაუმჯობესებისათვის. ჩვენმა კონსტრუქტორებმა მხედველობაში მიიღეს ეს მითითება და შექმნეს მსოფლიოში პირველი ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“. შარშან ასი ასეთი მანქანა წარმატებით მუშაობდა ჩაის პლანტაციებში. მათ შეასრულეს სამეფოო, რომელსაც ჩაის ფოთლის ხელით კრეფის დროს 290 ათასი კაცდღე დასჭირდებოდა. წელს მრეწველობა კიდევ 300 ასეთ მანქანას გამოუშვებს.

მიწის, ხელსაყრელი კლიმატური პირობების უფრო ინტენსიურად გამოყენების და წარმოების სპეციალიზაციისათვის რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა გადაწყვეტეს ყოველმხრივ განვითარონ მევენახეობა, მებაღეობა, მეციტრუსეობა და სხვა ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს განზრახული აქვთ 1965 წელს ერთიორად და მეტად გაადიდონ ვენახებისა და ბაღების ფართობები. გასული ორი წლის მანძილზე რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობაში გაშენდა 36 ათასი ჰექტარი მრავალწლიანი ნარგავები, ანუ იმდენი, რამდენიც წინა ხუთი წლის მანძილზე გაშენდა.

კარგი სანერგე მასალით ბაღებისა და ვენახების გაშენების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფის მიზნით ჩვენ ფართოდ ვიყენებთ ხეგლების დაჩქარებული გამოყვანისა და გამოსავლიანობის გადიდების მეთოდებს, რომლებიც შეიმუშავა მეცნიერებამ. ხეხილის ნერგების გამოსავლიანობის ეადა ორი წლით მცირდება. ვაზის სტანდარტული ნერგების გამოყვანისას ფართოდ ვიყენებთ ზრდის სტიმულატორს — ჰეტეროაუქსინს, რომელიც 15-20 პროცენტით ზრდის ნამყენი მასალის გამოსავლიანობას. მევენახეები იყენებენ აგრეთვე ვაზის თავისუფალი განსხვავებული ფორმირების მეთოდს, რაც მინერალური სასუქის შეტანისას 70 პროცენტით ადიდებს მოსავლიანობას.

ქართველი მეცნიერები ზოგიერთ საკავშირო ორგანიზაციასთან ერთად იკვლევენ სამრეწველო მევენახეობის ზონაში სტტყვასთან ბრძოლის საშუალებებს. ამ საქმეში ფრიად ეფექტიან შედეგებს მიგაღწიეთ. ინტენსიური დასეტყვის რაიონებში მოწყობილია სეტყვასთან ბრძოლის სამსახური. წელს დასეტყვისაგან დაცვის ღონისძიებანი 150 ათას ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე განხორციელდება.

ზემოხსენებული ღონისძიებებისა და მეცნიერების მთელი რიგი რეკომენდაციების დანერგვა საშუალებას მოგვცემს ერთნახევარჯერ გავადიდოთ უახლოეს წლებში ყურძნისა და ხილის მოსავალი.

ჩვენი რესპუბლიკისათვის წამყვან სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა მარცვლეულის მეურნეობისა და მეცხოველეობის განვითარებას.

მიმდინარე წელს მარცვლის საერთო მოსავალს ერთნახევარჯერ გავადიდებთ შარშანდელთან. „შედარებით და სახელმწიფოს მივყიდით 13 მილიონ 500 ათას ფუთ მარცვალს. რესპუბლიკაში გადაჭარბებთ შესრულდა საშემოდგომო თესვის გეგმა მიმდინარე წლის მოსავლის მოსაღებად. უხვმოსავლიან ჯიშს „უფხო-1“ საშემოდგომო ხორბლის ნათესების 80 პროცენტი უჭირავს. მარცვლეული კულტურების ნათესები სარწყავ მიწებზე 130 ათას ჰექტარამდე დიდდება. აქედან შემოდგომაზე უკვე დაითესა 60 ათასი ჰექტარი თავთავიანი კულტურები.

საქართველოში ყოფნის დროს ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა კახეთის კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებთან და მექანიზატორებთან საუბარში ურჩია უკეთ გამოიყენონ ამ რაიონების ხელსაყრელი პირობები მარცვლის წარმოების გადიდებისათვის. ეს მითითებანი წარმატებით სრულდება.

შარშან სიღნაღის საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა მარცვლეულის უხვი მოსავალი მოიყვანეს, უბრუნველყვეს თავიანთი მეურნეობანი თესლით და სახელმწიფოს ჩაბარეს 50 ათას ტონაზე მეტი ხორბალი, ანუ რესპუბლიკაში დამზადებული მარცვლის მეოთხედი. სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობამ, სადაც თავმჯდომარედ ამხ. ა. ა. კობაიძე მუშაობს, ურწყავ მიწებზე საშემოდგომო ხორბლის ნათესების სამი ათასი ჰექტარი ფართობის საშუალოდ ჰექტარზე 25 ცენტნერი მარცვალი მიიღო და სახელმწიფოს მიპყიდა 13 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე.

კახელი მხვნელ-მთესველები მარცვლის კიდევ უფრო დიდ მოსავალს მიიღებენ, როცა ეს მიწები მოირწყვება.

რწყვას ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს. ამას თავის დროზე აღნიშნავდა დიდი ლენინი კავკასიის კომუნისტებისადმი წერილში.

უკანასკნელ წლებში აშენდა წყალთა მეურნეობის მთელი რიგი მსხვილი ობიექტები: დამთავრდა სიონის წყალსაცავის მშენებლობა, რომელიც წყალს აწვდის ზემო სამგორის სარწყავ სისტემას, მოიწყო თელეთის მექანიკური რწყვა და სხვ. ქვემო სამგორის ველზე შენდება სარწყავი სისტემა, რომლითაც 50 ათასი ჰექტარი მოირწყვება.

თბილისის საგარეუბნო ზონაში ზემო სამგორის სარწყავი სისტემის პირველი რიგის მშენებლობის დამთავრების შემდეგ 40 ათასი ჰექტარი ირწყვება. წინათ ეს მიწები ნახევრად უდაბნო იყო და ნაწილობრივ ვიყენებდით საძოვრებისათვის.

ახლა მორწყვის შემდეგ აქ მოეწყო ინტენსიური მეურნეობა. შეიქმნა საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ქალაქების თბილისისა და რუსთავის მოსახლეობას ამარაგებენ ბოსტნეულით, ყურძნით, ხილით, რძითა და სხვა პროდუქტებით. თუ მორწყვამდე ჰექტარის შემოსავალი 15 მანეთს არ აღემატებოდა, სარწყავი მიწები ჰექტარზე საშუალოდ 2.400 მანეთს გვაძლევენ.

ხორცი ესხმება კახელ მშრომელთა საუკუნეობრივ ოცნებას: დაიწყო ზემო ალაზნის არხის პროექტის შედგენა, ხოლო მომავალ წელს მშენებლობასაც შეუდგებით. ეს არხი 110 ათას ჰექტარ საბნად მიწებს მორწყავს და 50 ათას ჰექტარ საძოვრებს გააწყლიერებს. ამ ზონაში გადიდდება ყურძნის, ხილის, მარცვლისა და სხვა პროდუქტების წარმოება. მორწყვის შემდეგ ეს ზონა რესპუბლიკის ბეღელი იქნება.

უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში რამდენადმე გაუმჯობესდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობა. გაიზარდა ძროხების რაოდენობა და ჯიშიანი პირუტყვის ხვედრითი წონა; გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა, რის შედეგადაც სახელმწიფოს მიეყიდა მეცხოველეობის პროდუქტები მეტი: რძე — 2,4-ჯერ, ხორცი — 1,7-ჯერ, კვერცხი — 5-ჯერ, მატყლი — 1,4-ჯერ. დიდი ყურადღება ეთმობა მეფრინველეობის განვითარებას; ქალაქ თბილისის გარშემო შექმნილია მეფრინველეობის ფაბრიკები და საბჭოთა მეურნეობები, სადაც ინტენსიურად ასუქებენ ფრინველს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფრინველის, მათ შორის კვერცხისმდებელი დედლების რაოდენობა თითქმის 2,5-ჯერ გადიდდა, ხოლო კვერცხის წარმოება 14 მილიონი ცალიდან 61 მილიონ ცალამდე გაიზარდა.

განვლილ წელს დიდი მუშაობა გაწეულ იქნა იმისათვის, რომ საკვებით უზრუნველყოფილ იქნეს ფერმა-ბრიგადები. ამ საქმეში ბევრ რაიონს საკვები შემოაქვს სხვა რესპუბლიკებიდან, გასულ წელს მთელი საკვები ადგილზე დამზადდა. თივა დამზადებულია ერთხელვარკვერ მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. და მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკას საზოგადოებრივი მეცხოველეობა ვითარდება უფრო ნელა, ვიდრე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგები..

საკვები რესურსების გადიდების მიზნით ფართოდ ვიყენებთ სანაფვარალო და შორისეული კულტურების თესლას. შარშან 30 ათას ჰექტარზე მეტი ასეთი ნათესები გვქონდა. სარწყავი მიწების გადიდების ანგარიშზე სანაფვარალო ნათესები გაფართოვდება.

რესპუბლიკაში მოწყობილია კომბინირებული საკვების წარმოება, რასაც დაახლოებით 200 ათას ტონას ვაწარმოებთ წელიწადში. მაგრამ კომპონენტების (თევზისა და ხორც-ძვლის ფხვნილის, კომტონისა და ზოგიერთი სხვა კომპონენტის) ნაკლებობის გამო მზადდება დაბალი ხარისხის პროდუქტი, განსაკუთრებით ფრინველისათვის. იმედი გვაქვს, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭო და დამზადებათა სახელმწიფო კომიტეტი საჭირო დახმარებას გაგვიწევენ სრულფასოვანი კომბინირებული საკვების წარმოების მოწყობაში.

საქართველოს ზოოვეტერინარულმა ინსტიტუტმა შეიმუშავა მთელი რიგი პრეპარატები და ვაქცინები, რომელთა გამოყენება აღმოფხვრის ცხოველთა დაავადებას და ხელს უწყობს პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდებას. ასეთ პრეპარატებს განეკუთვნება დარიშხიან-მჟავე კალა, ფენოტიაზინის ბრიკეტები, ჰელმინთოციდის კონცენტრატები, პულოროფაგები, ვაქცინის ეარუსი და სხვა. ამ პრეპარატების გამოყენებამ საშუალება მოგვცა აღმოგვეფხვრა ცხოველთა ზოგიერთი ინფექციური და ინვაზიური დაავადება. აღნიშნული პრეპარატები მზადდება ინსტიტუტის პატარა წარმოებაში. თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის დიდ მოთხოვნილებას ამ პრეპარატებზე, მაშინ საჭირო იქნება მოვაწყოთ მათი უფრო ფართო წარმოება.

ამ ბოლო წლების განმავლობაში ჩვენმა მეცნიერებმა, მექანიზატორებმა გასწიეს დიდი მუშაობა მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაციისათვის.

ჯანდარის საგარეუბნო სასუქებელ მეურნეობაში პირუტყვის მოვლა-შენახვისა და გასუქების ყველა პროცესი მექანიზებულია. სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობაში პირველად აშენდა საფრინველე-ავტომატი, რომელიც გაწყობილია როტორული ტიპის კალიის ბატარეებით. აქ ავტომატურად ხორცილდება კვების, დარწყულების და დალაგების ყველა პროცესი. ასეთ საფრინველე-ავტომატში ეტევა 16 ათასი ფრინველი, ესე იგი ოთხჯერ მეტი, ვიდრე ჩვეულებრივ საფრინველეში; შრომის დანახარჯები შემცირდა 8-ჯერ და უფრო მეტად და ერთ ცენტნერ ხორცზე შეადგენს 3,3 კაც-საათს, დანახარჯების საერთო ეკონომია შეადგენს 39 ათას მანეთს; ყოველი ათასი ფრინველის ადგილისათვის კაპიტალური დაბანდების შემცირება უდრის 143 მანეთს, ხოლო ცოცხალი წონის მატება — 381 ცენტნერ ხორცს წელიწადში.

შემუშავებულია აგრეთვე სხვა პრინციპული სქემები და ტექნიკური საშუალებანი, რომელთა დანერგვის შედეგად ბევრად გაადვილდება შრომა, გაზრდება მისი ნაყოფიერება და შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება.

ამჟამად არსებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენება ჩვენს პირობებში შეზღუდულია იმის გამო, რომ დასამუშავებელი ნაკვეთები მდებარეობს დიდ სიმაღლესა და მთის კალთებზე. ძალიან ნელა წარმოებს ისეთი მანქანების კონსტრუქციის შემუშავება, რომლებიც გამოსადეგია ასეთ პირობებში სამუშაოდ. ეს ოწვევს მუშა პირუტყვისა და ხელის შრომის ფართოდ გამოყენებას.

ამ ბოლო წლების მანძილზე საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებში გაფართოდა სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო ახალი მექანიზმების შექმნის სამუშაოები. მაგალითად, საქართველოში ქვმნთ მთის ტრაქტორები, უნივერსალური თვითმავალი მასები, მანქანების კონსტრუქციები, რათა ავითვისოთ მთის კალთები ჩაის, ციტრუსების, ყურძნისა და სხვა კულტურების გაშენებისათვის. მაგრამ ეს კვლევა და საკონსტრუქტორო სამუშაოები ფერხდება იმის გამო, რომ საქართველო არ არის სამეცნიერო და საკონსტრუქტორო დაწესებულებათა ტექნიკური ბაზის დონე და მეტად ნელა ხორციელდება შემუშავებული მანქანების სერიული წარმოება.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არის კოორდინირებული სამთო მიწათმოქმედებისათვის საჭირო ახალი ტექნიკის შექმნის სამუშაოები. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს საკითხი უახლოეს დროში გადაიჭრება.

ჩვენს რესპუბლიკაში 1.412 კოლმეურნეობაა, რომელთაგან დაახლოებით 700 კოლმეურნეობა მდებარეობს მთის ზონაში. რესპუბლიკაში 394 ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობაა. თვითეული ეკონომიური ფართო აქტივის მოსაწყალეობით შემუშავებულია ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობების განმტკიცების კონკრეტული ღონისძიებანი. საწარმოო სამმართველოთა წინადადებანი ცალკეულ მეურნეობათა შესახებ თავის მხრივ განხილულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. ჩვენ ვახორციელებთ ღონისძიებებს, რომ ეკონომიურად სუსტი მეურნეობანი განვამტკიცოთ გამოცდილი და უნარიანი კადრებით, ჩამორჩენილ მეურნეობებს უწინარეს ყოვლისა ეძლევათ მიწერალური სასუქები და ტექნიკა.

ეკონომიურად ძლიერი მეურნეობები კოლმეურნეობათა ურთიერთ დახმარების წესით ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს აძლევენ მრავალწლოვანი ნარგავების მსხმოიარე პლანტაციებს, ნაკვეთებს ახალი პლანტაციების გასაშენებლად, ეხმარებიან იმით, რომ აძლევენ ჯიშიან თესლს, სანერგე მასალასა და სხვ.

მიუხედავად მიღებული ღონისძიებებისა, რესპუბლიკის საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებანი. ისევ დიდია მთელი რიგი პრობლემების თვითღირებულება, ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობა ვერ მუშაობს რენტაბელურად. საქართველოს კომპარტიის აბრ წინით გამართულ ყრილობაზე სერიოზული ყურადღება დაეთმო ამ საკითხებს და დაისახა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი.

ამხანაგებო! სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების მიზნით ძალამად ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში სოფლის მშრომელთა ფართო მასებს ასწავლიან სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საფუძვლებს. სპეციალურ სამთვიან კურსებზე წარმოებს სპეციალისტთა გადამზადება. საწარმოო სამმართველოებში მეცნიერთა მონაწილეობით ეწყობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველა სპეციალისტის სემინარები, მასობრივი კვალიფიკაციის მოკლევადიან კურსებზე ამზადებენ ბრიგადირებს, მერგოლურებს, მრწყველებს.

გადასინჯულია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმების სასწავლო პროგრამები, დასახულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ გავაფართოოთ მექანიზაციის, მექანიზაციისა და სხვა პროფილების საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტთა გამოშვება.

უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადების გაფართოების მიზნით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინაშე აღვძარით საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აღდგინილ იქნას მელიორაციის ფაკულტეტი და ამ ინსტიტუტში მეტი ახალგაზრდა მიეიღოთ აგროქიმიის, ნიადაგმცოდნეობისა და მექანიზაციის სპეციალობებზე.

სასოფლო-სამეურნეო სასწავლო და საკვლევი ინსტიტუტები გადაყვანილი არიან ქალაქებიდან და მათ გადაეცათ დიდი მეურნეობანი. მაგალითად, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდმა საექსპერიმენტო ბაზაზე ყველა საწარმოო პროცესს ასრულებენ სტუდენტები, რომლებიც პრაქტიკული მუშაობით განამტკიცებენ თეორიულ ცოდნას.

მინერალური სასუქების ეფექტიანად გამოყენების მიზნით გაიშალა მუშაობა თვითეული მეურნეობის ნიადაგების შესასწავლად და აგროქიმიური კარტოგრამების შესადგენად. მიმდინარე წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შესაძლებლობა ექნებათ 150 ათას ჰექტარზე მეტი ფართობის ნიადაგში შეიტანონ მინერალური სასუქები შემუშავებული კარტოგრამების შესაბამისად.

თუ რა დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანას შემუშავებული კარტოგრამების შესაბამისად, ამას ცხადყოფს შემდეგი მაგალითი. ორხმატრის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მესაძე წელია მინერალური სასუქები შეაქვს კარტოგრამის შესაბამისად. ამის შედეგად საბჭოთა მეურნეობამ დაზოგა 135 ტონა ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები და ამასთან ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჰექტარზე 951 კილოგრამით გაადიდა. 1963 წელს საბჭოთა მეურნეობამ ჰექტარზე მოკრიფა 7 ათასი კილოგრამი ფოთოლი.

აგროქიმიური რუკების შედგენაში მონაწილეობენ რესპუბლიკის საწარმოო სამმართველოთა აგროქიმიური ლაბორატორიები, სასოფლო-სამეურნეო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და უმაღლესი სასწავლებლები. უახლოეს ორ წელიწადში ეს სამუშაოები დამთავრდება.

შემუშავებულია და ხორციელდება ღონისძიებანი მინერალური სასუქებისა და ზმაქმიკატების საწყობების შენებლობისთვის სადგურისპირა პუნქტებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ორი-სამი წლის განმავლობაში ყველა მეურნეობას ექნება საჭირო ტევადობის საწყობები.

სარეველების წინააღმდეგ ვიყენებთ ჰერბიციდებს, თუმცა მათი ასორტიმენტი შეზღუდულია. იმ მიზნით, რომ ჰერბიციდები, აგრეთვე ზმაქმიკატები ეფექტიანად გამოვიყენოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ საბრძოლველად, გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ რაიონულ განყოფილებებში შექმენით 12 მექანიზებული რაზმი. მიმდინარე წელს შეიქმნება კიდევ 12 ასეთი რაზმი და მნიშვნელოვნად გადიდდება ქიმიური დამუშავების ფართობი, სადაც გამოიყენებთ ავიაციას.

რესპუბლიკის მარცვლეულის მეურნეობას დიდ ზიანს აყენებენ მღრღნელები. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად მეცნიერებმა შეიმუშავა მაღალეფექტიანი ბაქტერიული მეთოდი. საქართველოში, ლაბორატორიულ პირობებში მოეწყო წარმოება პროფესორ პრუხოროვის ბაქტერიების პრეპარატისა მღრღნელების წინააღმდეგ საბრძოლველად. გამოცდილ პრეპარატმა მაღალი ეფექტიანობა გვიჩვენა. საჭიროდ მიგვაჩნია მოეწყოს ამ პრეპარატის სამრეწველო წარმოება.

მომდინარე წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე მთლიანად როდი დაკმაყოფილდა. ამასთან გამოყოფილ ფონდებს სრულად ვერ ვიღებთ: შარშან დაგვაკლეს 27 ათას ტონაზე მეტი აზოტიანი და ფოსფორიანი სასუქები. ჩვენ კარგად გვესმის, რომ მრეწველობას ჯერჯერობით არ შეუძლია უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის მთელი მოთხოვნილება მინერალურ სასუქებზე, მაგრამ მომმართავენელმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ სასუქების დაკლება მოსავლის მნიშვნელოვან კლებას იწვევს.

ამხანაგებო! სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციაში დიდ როლს ასრულებს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს ინსპექტორ-ორგანიზატორი. ჩვენი ინსპექტორ-ორგანიზატორების უმრავლესობას სწორად ესმის დაკისრებული მოვალეობა და აქტიურად ახდენს გავლენას მეურნეობის შემდგომ განვითარებაზე. მაგრამ მთელ რიგ საწარმოო სამმართველოებში ინსპექტორ-ორგანიზატორი ჯერ კიდევ როდია წარმოების ნამდვილი ორგანიზატორი. ინსპექტორ-ორგანიზატორი მომსახურებას უწევს თავის ზონაში 7-8, ზოგჯერ კი მეტ მეურნეობას, რომლებიც მიღწეულია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაში, და მოიყვანა შემდეგი ციფრები:

1953 წელთან შედარებით მარცვლის წარმოება გაიზარდა თითქმის ერთნორად, შაქრის ჭარხლისა 3-ჯერ და უფრო მეტად, მატყლისა — 2,5-ჯერ, რძისა — 2-ჯერ და უფრო მეტად, ხორცისა თითქმის ერთნახევარჯერ, ბოსტნეულისა —2-ჯერ და უფრო მეტად და ხამი ბამბისა — 1,3-ჯერ. კოლმეურნეობათა შემოსავალი ოთხჯერ გადიდდა, კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება — თითქმის 4-ჯერ. ყირგიზეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით დაამთავრეს გასული სასოფლო-სამეურნეო წელი და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს სამეწარმეოსათვის მარცვლის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, მატყლის, თამბაქოს, კარტოფილისა და ბოსტნეულის მიყიდვის გეგმა. გადიდდა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადება.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაზრდილი მექანიზაცია რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საშუალებას აძლევს უფრო ფართოდ გამოიყენონ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის მოწინავე მეთოდები. 1963 წელს ყირგიზეთის სს რესპუბლიკაში კომპლექსური მექანიზაციის 1.700-ზე მეტი ბრიგადა და რგოლი იყო. ისინი ამუშავებდნენ სათოხნი კულტურების 70 პროცენტს, ხოლო შაქრის ჭარხლის დამუშავება სოციალისტური შრომის გმირის ვ. სეტლიჩნის ტექნოლოგიით მთელი ნათესების მეოთხედ ნაწილზე მიმდინარეობდა. მებამბეობის საბჭოთა კომპლექსურმა მექანიზაციამ საშუალება მოგვცა თითქმის ერთნორად შეგვემცირებინა შრომის დანახარჯები.

ბოლოდროინდელ კონტრასტების რესპუბლიკაა. მის შედარებით მცირე ტერიტორიაზე მსოფლიოს 11 კლიმატური ზონიდან შეიძლება შეხვდეთ 10 ზონას და საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ტიპის ნიადაგებს. აქ მიწათმოქმედება წარმოებს ჰორიზონტებზე მინუს 26 მეტრიდან დაწყებული ორი ათას მეტრამდე ზღვის დონიდან. ამასთან ამიერკავკასიის ეს რესპუბლიკა დიდად განვითარებული სარწყავი მიწათმოქმედების მხარეა. აქ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის დაახლოებით 70 პროცენტი სარწყავ მიწებზე მოჰყავთ.

ეს საინტერესო ფაქტები პლენუმის მონაწილეებს გააცნო აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მინისტრმა ა. კ. ორუჯევმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა საღამოს სხდომაზე.

ჩვენმა რესპუბლიკამ რომ წარმატებით გადაჭრას სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ამოცანა, რომელიც პარტიამ დასახა, ამბობს იგი, ეს დამოკიდებულია ცალკეულ მეურნეობათა ბუნებრივი ზონებისა და ეკონომიკის თავისებურებათა ყოველმხრივ აღრიცხვასა და სწორად გამოყენებაზე. როცა სსკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისათვის ემზადებოდნენ, პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ერთხელ კიდევ კრიტიკულად შეაფასეს, თუ რა მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაში, და შეიმუშავეს მისი შემდგომი ინტენსიფიკაციის ღონისძიებანი, რასაც საფუძვლად უდევს რწყვის, ქიმიზაციისა და მექანიზაციის განვითარება. უახლოეს წლებში მარცვლეულის ნათესები სარწყავ მიწებზე მნიშვნელოვნად გადიდდება, ხოლო მარცვლის საერთო წარმოება გაორკეცდება. ახალი მიწების ათვისებით და ამ მიწებზე სპეციალიზებული

საქართველოს
ᲓᲘᲓᲘ ᲪᲘᲚᲘᲡᲬᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲢᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘ
ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲡᲝᲩᲘ, 12 თებერვალი. (საკდესი). „საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის ახალი პორიზონტები", „დიდებული პროგრამა", „სოფლის მეურნეობის სწრაფი აღმავლობის პროგრამა". ასეთი სათაურებით ბულგარეთის ცენტრალურმა გაზეთებმა დღეს პირველ გვერდზე გამოაქვეყნეს მასალები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მეორე დღის მუშაობის შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, აღნიშნავს გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო", განიხილავს საბჭოთა ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი დარგის — სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საკითხებს.

ბულგარელი ხალხი და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, განაგრძობს გაზეთი, უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას. პრობლემებს, რომლებიც პლენუმზე განიხილება, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკისათვის.

ბერლინი, 12 თებერვალი. (საკდესი). გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა კვლავ დიდი ყურადღებით ადევნებს თვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობას. გაზეთები თვალსაჩინო ადგილს ბეჭდავენ ძირითად დებულებებია და ციფრებს თანამოხსენებებიდან, რომლებიც პლენუმმა მოისმინა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განიხილავს სოფლის მეურნეობის საკითხებს, და ეს ხელს შეუწყობს საბჭოთა -სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების საქმეს, ხაზს უსვამს „ტრიბუნი". გაზეთი აღნიშნავს, რომ გასაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის კომპლექსური მექანიზაციის საკითხებს, მიმდინარის მშრომელთა უზრუნველყოფას სულ სხვადასხვა ტექნიკით და ამავე დროს საკმაო რაოდენობით.

სათაურით „უდაბნოები აყვავებულ მიწებად გადაიქცევა" „ნოიეს დოიჩლანდი" ბეჭდავს ცნობას საბჭოთა ქვეყნის გვალვიანი რაიონების ხელოვნური მორწყვის გრანდიოზული გეგმების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უახლოეს წლებში ნაყოფიერი გახდება 2,8 მილიონი ჰექტარი მიწა.

ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲑᲠᲐᲚᲔᲑᲔᲚᲘ...

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 12 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის სანაპირო დაცვის სამხედრო გემების მიერ კუბელ მებადურთა დაპატიმრებამ მთელ მსოფლიოში დიდი გულისწყრომა გამოიწვია მეერთებული შტატების მიმართ, შეშფოთებით წერს დედაქალაქის გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი". ამერიკის პრესა ახლა სულ უფრო ხშირად გამოთქვამს განცვიფრებას იმის გამო, თუ რატომ არ ათავისუფლებენ დღემდე პატიმრებს და არ გზავნიან სამშობლოში. გაზეთები აღნიშნავენ, რომ „კუბის ახალი კრიზისი" დღემდე გადაუჭრელი რჩება, და განცვიფრებას გამოთქვამენ ფედერალური ხელისუფლების მოქმედების გამო, რომლებმაც დაპატიმრებული მებადურები ფლორიდის შტატის სასამართლო ორგანოებს გადასცეს. „ვაშინგტონ-პოსტი" დაფიქრავი შეშფოთებით წერს, რომ ამით ამერიკის შეერთებული შტატები ქმნიან მეტად საშიშ პრეცედენტს, რომელიც უწინარეს ყოვლისა თვით ამერიკელების წინააღმდეგ შეტრიალდება.

როგორც საგენტოთა ცნობებიდან ჩანს, გარდა იმისა, რომ მებადურებს გაძლიერებით დაკითხავენ მრავალრიცხოვან ორგანოთა წარმომადგენლები, ცდილობენ ყოველნაირად დაამტკიცონ ისინი და ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინონ მათზე.

თავისუფლების კუნძულის მებადურები, რომლებიც თავდაპირველად მოათავსეს სისხლის სამართლის დამნაშავეებთან, რომლებიც უეცრად „პატრიოტიზმისა" გრძნობით აღიავსნენ და საზიზღრად შეურაცხყოფდნენ პატიმარ კუბელებს, შემდეგ მოათავსეს ვიწრო საკანში, სადაც არც ერთი მერხი არ იყო და იატაკზე მოუხდათ ძაძინება. მხოლოდ თვეზსაქერი გემების კაპიტანთა მტკიცე პროტესტის შემდეგ კუბელი მებადურები გადაიყვანეს სხვა საკნებში — ხუთ-ხუთი კაცი თითო საკანში. როგორც გაზეთების ცნობებიდან ჩანს, პატიმართა მთელ საუბრებს ყურს უგდებენ.

ზოგიერთ წრეში ახლა ცდილობენ დაიცვან ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალური ხელისუფლები, იმოწმებენ იმას, რომ ისინი თანაუგრძნობენ კუბელ მებადურებს და „მზად არიან გაათავისუფლონ", მაგრამ ვერაფერს ვერ გააკეთებენ, რადგან ყველაფერი ფლორიდის შტატის ხელისუფალთა ხელშია. ასეთი ხრიკები აშკარად უსაფუძვლოა თუნდაც იმიტომ, რომ ფლორიდის გენერალურმა პროკურორმა პირდაპირ განაცხადა, რომ „მზად არის ითანამშრომლოს ფედერალურ ხელისუფლებთან" და, კერძოდ, სახელმწიფო დეპარტამენტთან, თუ მას „იტყვიან ერთ სიტყვას ვაშინგტონდან". მაგრამ, ვაშინგტონი დუმს, ხოლო ფლორიდის ხელისუფლები ამბადებენ კუბელ მებადურთა გასამართლებას.

ᲒᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲧᲕᲔᲢᲕᲐᲖᲔ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 11 თებერვალი. (საკდესი). ეროვნული ცეცხლი ტუკ-ჯაჯალეს რაიონში, სადაც ამ უკანასკნელ დღეებში წარმოებდა ბრძოლები სომალისა და ეთიოპიის ქვეგანაყოფებს შორის.

ᲖᲐᲜᲖᲘᲑᲐᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲔᲛᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲗᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ — ᲡᲣᲚᲢᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲮᲝᲑᲝᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ. ᲙᲣᲜᲫᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲛᲐ ᲘᲪᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲝᲛᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲞᲐᲢᲘᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲣᲯᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲛᲐᲙᲐᲠᲘᲝᲡᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 12 თებერვალი. (საკდესი). კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა არქიეპისკოპოსმა მაკარიოსმა გაზეთ „ლუმანიტეს" კორესპონდენტის კითხვების პასუხად ლაპარაკა იმ მდგომარეობაზე, რომელიც ამჟამად შეიქმნა კუნძულზე. მაკარიოსმა, კერძოდ, განაცხადა, რომ კვიპროსის მთავრობა ესწრაფვის იმას, რომ ბერძენ და თურქ მოსახლეობას შორის დამყარდეს ყველაზე მეგობრული ურთიერთობა. მან ხაზი გაუსვა, რომ კვიპროსი საკადრის პასუხს გასცემს ყოველგვარ ჩარევას მის საქმეებში. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, თქვა პრეზიდენტმა, როცა ომის საფრთხე, რაც მსოფლიოს უმეტეს ნაწილში შეიქმნა, ჯერ შეიძლება არ აღელვებდეს სხვა ქვეყნებს.

მაკარიოსმა ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ მისი მთავრობა უარყოფითად ეკიდება ინგლის-ამერიკის წინადადებებს.

კვიპროსის სახელმწიფოს მეთაურმა შემდეგ დაადასტურა, რომ მიღებულია გადაწყვეტილება მომართონ უშიშროების საბჭოს და ეს გადაწყვეტილება მალე განხორციელდება.

ეეენო რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების ფუნქციათა საკითხს, თქვა ეს ჯარები გაიგზავნებიან კვიპროსში, მაკარიოსმა განაცხადა, რომ, ჯერ ერთი, მათ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ გარეშე ძალების თავდასხმას და, მეორე, ხელი შეუწყონ წესრიგის აღდგენასა და მდგომარეობის ნორმალიზაციას კვიპროსის შიგნით.

ᲝᲥᲓᲐᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲘ ᲞᲝᲠᲢᲣᲒᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ ᲐᲜᲓᲝᲚᲐᲨᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 12 თებერვალი. (საკდესი). როგორც დღეს ჰამბურგის გაზეთი „დი ველტი" იტყობინება, ამჟამად პატრიოტთა წინააღმდეგ, რომლებიც ანგოლის თავისუფლებისათვის იბრძვიან, ომს აწარმოებენ პორტუგალიის ჯარები 30 ათასი კაცის შემადგენლობით. ამ დღეებში ლისაბონიდან ანგოლაში გაიგზავნა პორტუგალიის არმიის ახალი ჯარის ნაწილები, რომლებშიც თითქმის ორი ათასი კაცია".

ᲐᲒᲓᲣᲚ ᲐᲡ-ᲡᲐᲚᲐᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲔᲑᲘ

ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲐᲑᲓᲣᲚ ᲐᲡ-ᲡᲐᲚᲐᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲠᲡᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲔᲑᲘ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲘᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲡᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲯᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲘᲡᲘ, ᲙᲐᲠᲐᲩᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕ. ᲓᲐᲘᲜᲢᲔᲡᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔ ᲓᲘᲙᲠᲔᲢᲘᲗ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ — „ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ". ᲐᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ.

ᲘᲔᲛᲔᲜᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲗᲐ ᲠᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲗᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲛᲑᲐᲠᲘ ᲘᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲛᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲠᲘᲒᲘ ᲠᲡᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲓᲜᲔᲜ ᲠᲘᲒᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘ.

ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲯᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 11 თებერვალი. (საკდესი). დღეს გაიმართა 18 სახელმწიფოს განიარაღების მორიგი სხდომა, რომელიც მიეძღვნა საყოველთაო და სრული განიარაღების პრობლემას.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა ლ. შიმოვიჩმა, რომელიც პირველი გამოვიდა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნათელი, კონკრეტული და ლოგიკურია საბჭოთა წინადადებანი საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხზე, რომლებიც სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ ჩამოაყალიბა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ბოლო სესიაზე. გაუგებარია, თქვა შიმოვიჩმა, რატომ მსჯელობენ განუწყვეტლივ დასავლეთის სახელმწიფოები რაღაც „განმარტებებზე", „დაზუსტებებზე" და სხვ. სსრ კავშირის წინადადებებში ყველაფერი ნათელია, და ეს წინადადებანი გამორიცხავენ რაიმე ვარიანტს. თუ დასავლეთი დადებითად უპასუხებს საბჭოთა წინადადებებზე, თქვა შიმოვიჩმა, მაშინ ამით დაგვესახება გზა, რომ მივაღწიოთ შეთანხმებას განიარაღების პრობლემის საკვანძო საკითხზე.

მაგრამ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა მეისონმა, რომელმაც სიტყვა აიღო ჩეხოსლოვაკიის დელეგატის შემდეგ, ისევ აღძრა „დაზუსტებებისა" და „განმარტებების" საკითხი, ამასთან ამტკიცებდა, რომ უამისოდ „არ შეიძლება საბჭოთა წინადადებების შეფასება". იგივე „დაზუსტებანი" მოითხოვა თავის გამოსვლაში ამერიკის დელეგაციის მეთაურმაც უ. ფოსტერმა.

სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა დუმიტრესკუმ.

ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲨᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲔᲒᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲔᲪᲔᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲣᲑᲠᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ. ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲚᲐᲢᲘᲜᲣᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲝᲛᲧᲕᲠᲔᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔ ᲓᲐᲛᲝᲛᲬᲧᲕ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

სიახლეთა დაბადება

☐ **ბარგი** საჩუქარი მიიღეს ამ დღეებში თერჯოლელმა მშრომელებმა — მწყობრში ჩადგა ორსართულიანი ახლადაშენებული კეთილმოწყობილი სასტუმრო 25 კაცისათვის.

მუშაობა დაიწყო აგრეთვე ახალმა აფთიაქმა, რომელიც მომსახურებას გაუწევს როგორც თერჯოლის, ისე მის მეზობლად მდებარე სოფლების მოსახლეობას.

ვ. კუტალაძე.

☐ **მაიაკოვსკი.** (საკ. კორ.) დაბა მაიაკოვსკში, ლენინის ქუჩაზე ამ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა მუშა-მოსამსახურეთა 12-ბინიანი საცხოვრებელი სახლი.

დაბის ცენტრში აგებენ და წელს საექსპლოატაციოდ გადასცემენ ახალ 3-სართულიან საცხოვრებელ სახლს.

☐ **ზუგდიდის** მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ ამას წინათ ქ. ზუგდიდში ორჯონიკიძის ქუჩაზე გახსნა ახალი ტელეატელიე.

გ. ალშიბაია.

ხელოვნების ქრონიკა

☐ **„ჩვენ** ბაქოდან ვართ“ ასე ეწოდება კონცერტს, რომელიც ამ დღეებში გამართა აზერბაიჯანის სსრ ბაქოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ანსამბლმა თელავის ს. ორჯონიკიძის სახელობის სახელმწიფო თეატრში.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო მეგობართა ხელოვნება.

მ. იაშვილი.

☐ **ახალქალაქის** რაიონის კულტურის სახლთან არსებული აგიტმხატვრული ბრიგადა ნაყოფიერად მუშაობს. იგი მრავალფეროვანი პროგრამით ესტუმრა მომმე სომხეთის რესპუბლიკის სოფლებს პემზაშენს, სირვანჯუხს...

თ. ჩილაშვილი.

☐ **ცხინვალის** კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაემართა საქართველოს სსრ სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა ჯგუფის საესტრადო კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. ტურიაშვილი, მსახიობები უ. კინწურაშვილი და სხვ.

მ. მელქოევი.

12 თებერვალს მარშრუტით თბილისი- კიევი- მინსკი-ვილნიუსი- რიგა-ტალინი - ლენინგრადი -მოსკოვი - თბილისი

სოფლის მეურნეობის მოწინავეთა ექსკურსია



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურისტულ-საექსკურსიო მოგზაურობა დაიწყო საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების 400-ზე მეტმა მოწინავე მხვნელ-მთესველმა, მეჩაიემ, მევენახემ, მებაღემ, მეთამბაქოემ, მეცხოველემ.

ისინი გაეცნობიან მომმეტრესპუბლიკების კოშონისტური მშენებლობის მიღწევებს, მათ წარმატებებს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, დათვალიერებენ ახალმშენებლობებსა და საწარმოებს, სადაც აწარმოებენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მინერალურ სასუქებსა და მცენარეთა დაცვის ქიმიურ საშუალებებს, გაეცნობიან ქალაქთა გარეუბნების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობას.

მოგზაურობა სპეციალური ტურისტულ-საექსკურსიო მატარებლით „საქართველო“ წარმოების მოწინავეთა წახალისების მიზნით ეწყობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ხარჯზე.

მოგზაურობა 20 დღეს გაგრძელდება. (საქდესი).

• წლეგი და ადამიანები •

არ დავიწყებ ა მოყვრისა...

ჩვენს სამხედრო ნაწილში მსახურობს ოფიცერი ვასილ პავლესაძე კობზევი. დიდი სამამულო ომის წლებში იგი ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების შავი ზღვის ჯგუფში იმყოფებოდა. იქ გაეცნო და დაუმეგობრდა ჟორეს ბიკენტის-ძე სვანიძეს, რომელიც ამჟამად ცაგერის რაიონის სოფელ უცხერში ცხოვრობს. ფრონტზე ისინი დაიჭრნენ და ერთად იყვნენ ჰოსპიტალში, რის შემდეგაც ოცი წლის განმავლობაში არაფერი იცოდნენ ერთმანეთის შესახებ. ამას წინათ ისინი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, სტუმრად იყვნენ ერთმანეთთან და ახლა ღვიძლი ძმებივით მეგობრობენ. ვ. პ. კობზევის ნაამბობიდან, აგრეთვე მისადმი ე. ბ. სვანიძის წერილებიდან შევიტყე მათი დიდი მეგობრობის ამბავი.

გიგზავნით ამ პატარა წერილს, იმედი მაქვს, რომ იგი დაინტერესებს თქვენს მკითხველებს.

ი. კულიკი.
ქ. იზმაილი.

ქვემოთ ვბეჭდავთ ოფიცერ ი. კულიკის მიერ გამოგზავნილ წერილს.

☐ ☐

1943 წლის ზამთარში კავკასიონის მთისწინეთში ქალაქ ნოვოროსიისკის რაიონში ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ ქართველი ჟორეს სვანიძე და რუსი ვასილ კობზევი. ბევრი სიძნელე და გაჭირვება გადაიტანეს ფრონტელმა მეგობრებმა ვერაგ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

გამოჩენილი მამაცობისა და მგმრობიათვის ორივეს მთავრობის მაღალი ჯილდოები ჰქონდა მიღებული. მაგრამ მალე ვასილ კობზევი მძიმედ დაიჭრა და დიდხანს იწვა ჰოსპიტალში ქალაქ ბაქოში. ჟ. სვანიძე ფრონტზე დარჩა და განაგრძობდა მტრის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მძიმე ჭრილობამ იმასაც დაატოვებინა ფრონტი და სასწაულად ისინი ერთ ჰოსპიტალში აღმოჩნდნენ.

ბრძოლებში ერთად მონაწილეობამ და სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღვრილმა სისხლმა კიდევ უფრო დააახლოვა მეგობრები. იმ მძიმე წლებში ვასილ კობზევის მშობლები მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და შვილმა მათ შესახებ არა იცოდა რა. ქართველი მებრძოლი მაშინ მეგობარს ეუბნებოდა: „შენს მშობლებს რამე რომ დაემართოთ, ჩემთან ჩამოდი, ჩემი ღვიძლი ძმა იქნები, ჩემი მშობლებისა კი — ღვიძლი შვილი“.

გამოჯანმრთელების შემდეგ ისინი სხვადასხვა ფრონტებზე მოხვდნენ და მათ შორის კავშირი შეწყდა, მაგრამ ერთმანეთი როდი დავიწყებიათ.

გავიდა 20 წელი... ფრონტული დღიურის გადათვალიერებისას ვასილ კობზევმა შემთხვევით აღმოაჩინა თავისი მეგობრის დედის მისამართი, მაგრამ რადგან არ იცოდა მისი ამბავი, დიდხანს ვერ ბედავდა მიეწერა დედისათვის. ბოლოს გადაძლია ფრონტელი ამხანაგისადმი ძმურმა გრძნობამ და მისი ბედის გაგების სურვილმა, და ჟორესის დედას, ანა სვანიძეს გაუგზავნა წერილი ცაგერის რაიონში. რამდენიმე დღის შემდეგ ვასილმა მიიღო თვით მებრძოლი მეგობრის წერილი, საიდანაც შეიტყო, რომ იგი ცოცხალი და ჯანმრთელია და თავის სამშობლო მხარეში მუშაობს. ვასილის მიწვევით ჟორესი მალე ეწვია მას. გულთბილი იყო მებრძოლი მეგობრების შეხვედრა. ისინი დიდხანს იგონებდნენ ფრონტს, ამხანაგებს. ცოტა ხნის შემდეგ კი მაისის დღესასწაულის დღეს, ვასილი ესტუმრა ჟორესს. ძველი ფრონტელების შეხვედრა უახლოესი ნათესავების შეხვედრას ჰგავდა. გაიხსენეს ჟორესის მამაც, გმირულად რომ დაიღუპა დიდი სამამულო ომის ფრონტზე. ჟორესის ოჯახმა და მისმა მახლობლებმა ვასილს თავიანთი ძმა უწოდეს.

ამჟამად ჟორეს ბიკენტის-ძე სვანიძე ცაგერის რაიონის 1 მაისის სახელობის მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ხოლო მისი მეგობარი ოფიცერი ვასილ კობზევი სამხედრო-საზღვაო ფლოტში მსახურობს.

შემთხვევები

კაცი გაყინვას გადაარჩინეს

საჩხერე. (საკ. კორ.). განთიადისას გარეთ სამინელი ქარბუქი მძვინვარებდა. უეცრად სოფელ მოძვის მცხოვრებს სერგო ნოზაძეს დასაღუპავად განწირული ადამიანის ხმა შემოესმა. ვიღაც შველას ითხოვდა.

სერგომ სწრაფად ჩაიცვა. მეზობლის ახალგაზრდა ვაჟი ჯანკო ნოზაძე თან გაიყოლა და ხმის მიმართულებით წავიდნენ.

ძლიერ ქარბუქში თითქმის ორი საათის განმავლობაში ეძებდნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ ადამიანს და ბოლოს სოფელ ჯალაურთის საზღვარზე თოვლში ჩაფლული, ხელ-ფეხ გაყინული ალ. ტყემალაძე იპოვნეს. ჭითურიდან მომავალს გზა დაბნეოდა, ტყეში მოხვედრილიყო და ახლა გათოშილს მოძრაობა აღარ შეეძლო. მისი სიცოცხლე ბეწვზე კიდია.

გამბედავმა და მამაცმა ახალგაზრდებმა ალ. ტყემალაძე თოვლიდან ამოიყვანეს, იქვე პირველი დახმარება აღმოუჩინეს და შემდეგ შინ მიიყვანეს.

ომის მრისხანე დღეებში

ლენინის ქალაქს თავისი არსებობის მჯძილზე ბევრი ღირსშესანიშნავი იუბილე გადაუხდია. ამჯერად ჩემი იქ ყოფნა დაემთხვა სწორედ იმ დღეებს, როცა ლენინგრადი და მთელი საბჭოთა ხალხი ემზადებოდა გმირული ეპოპეის 20 წლისთავის აღსანიშნავად.

ქალაქის საექსკურსიო ბიუროდან ექსკურსანტებით სავსე ავტობუსები მიემართებიან იმ ადგილისაკენ, სადაც ლენინგრადის ისტორიული დაცვის ხაზი გადიოდა. ამჟამად ამ მიდამოებში სიწყნარეა. აქ ტყეები და ჭაობებია. ხეები თოვლით არის დაფარული. იგი გადაშლილია ლომონოსოვიდან პოლოიოს ასტრონომიული ცენტრის სიმაღლემდე, ლადოგის ტბამდე, საიდანაც შემოდიოდა ერთადერთი გზა მტრის ცეცხლქვეშ ქალაქში.

ლენინგრადის დამცველთა რიგებში იყო ჩვენი თანამემამულე, ამჟამად იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, ლენინგრადის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი აექსენტი კალანდაძე.

ლენინგრადის ბლოკადის დღეებში ა. კალანდაძე სამხედრო პროკურატურის პროკურორი იყო. რა სახის დამნაშავეებთან არ უხდებოდა მას ბრძოლა.

ა. კალანდაძე, იმ დღეებში, როგორც ათასობით ლენინგრადელი, განიცდიდა შიმშილს, სიცივეს... ყოველდღიურად მტრის თვითმფრინავებისა და ქვემეხების ყუმბარების გრუხუნი ესმოდა, მაგრამ, ლენინური კომკავშირისა და პარტიის მიერ აღზრდილი, იგი ნახულობდა დროს სამეცნიერო შრომაზე მუშაობისათვის.

და აი დადგა 1942 წლის 12 იანვარი. დილის 9 საათზე ა. კალანდაძე თავის მეუღლესთან ერთად სახლიდან გავიდა და გემართა ნევის სანაპიროზე მდებარე ლენინგრადის კალინინის სახელობის იურიდიული ინსტიტუტისაკენ. მას ჩანთაში თავისი დისერტაცია და რამდენიმე წიგნი ჰქონდა.

დღის პირველ საათზე შედგა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზეც ა. კალანდაძემ ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ოპონენტებმა და სამეცნიერო საბჭოს წევრებმა მაღალი შეფასება მისცეს მის ნაშრომს.

ეს იყო პირველი დისერტაცია ქალაქის ბლოკადის დღეებში.

ომის შემდეგ 1950 წელს ა. კალანდაძემ ასევე ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. ამჟამად სახელმოხვეჭილი მეცნიერი ნაყოფიერად მუშაობს ლენინგრადის უნივერსიტეტში.

შ. მგელაძე.
ქ. ლენინგრადი.

ბაკურიანი ერთ-ერთი ულამაზესი სამთო აგარაკია საქართველოში. ზამთარ-ზაფხულ მოდიან აქ დასასვენებლად, ჯანღონის მოსაკრეფად. მშვენიერი ფიჭვნარი, სუფთა ჰაერი, ანკარა წყარო — აი რითი იზიდავს იგი ადამიანებს ყველა ქვეყნიდან.

ჩამოთოვს თუ არა, ბაკურიანს მიაშურებენ მოთხილამურენი, თვალი ვერ ძღება თეთრად გადაპენტილი კოხტა გორას და ირგვლივ ტყიანი მთა-ფერდობების მზერით. რა ლამაზი სანახავია, როცა აცხუნებს მზე და ქათქათა თოვლზე დასრიალებენ ბრინჯაოსფრად შერუჯული გოგონები და ვაჟები, სათხილამურო სპორტის სახელოვანი ოსტატები.

ბუნებით შემკულ ამ დიდებულ აგარაკს ახლახან შეემატა კიდევ ერთი შესანიშნავი შენობა — კომფორტული სასტუმრო, რამაც უფრო მეტი ეშხი და იერი მისცა ისედაც ლამაზ ბაკურიანს.

ფოტო შ. კუკულავასი.

საჩუქარი მუზეუმს

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისში ცხოვრობენ ილიასა და აკაკის უახლოესი მეგობრის, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის პავლე თუმანიშვილის ქალიშვილები — აგნესა და ელენე თუმანიშვილები.

ამ დღეებში ღვაწლმოსილმა პედაგოგებმა, დებმა თუმანიშვილებმა ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს ახალი ექსპონატები შესძინეს — უსასყიდლოდ გადასცეს მამისეული ბიბლიოთეკა, აგრეთვე ფოტოსურათებისა და ხელნაწერების ნაშვიათი კოლექცია.

საჩუქრებს შორის ყურადღებას იპყრობს იმერეთის მეფეების სოლომონ პირველისა და სოლომონ მეორის სიგელები, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეთა ხელნაწერი ჟურნალის „კრებულის“ ნომრები და სხვ.

ვ. კობზევი.



ჟ. სვანიძე.

ბაქტერიები მწერების წინააღმდეგ

1879 წელს გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ილია მეჩნიკოვმა აღმოაჩინა, რომ ხოჭოების — ხორბლის ხაშში მავნებლების — დაავადებას მიკროსკოპიული სოკოები იწვევენ. მეჩნიკოვს დაებადა იდეა: დაავადების გამომწვევი ეს მიკრობები გამოიყენებინა მავნე მწერების მოსახპობად. მან გაამრავლა სოკოების კულტურა და შეიტანა მინდვრებში, სადაც მავნებლები იყო გავრცელებული. პირველად ასე იქნა გამოყენებული მცენარეთა დაცვის მიკრობიოლოგიური მეთოდი.

რა სიახლენი მოხდა მიკრობიოლოგიური მეთოდის განვითარებაში უკანასკნელი წლების მანძილზე, რა პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა მან სოფლის მეურნეობაში?

საგანგებო „ახალი ამბების“ კორესპონდენტის ამ კითხვებზე უპასუხეს მცენარეთა დაცვის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიური მეთოდის ლაბორატორიაში.

— ჩვენს მუშაობაში, — თქვა ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ფედორინჩიკმა, — მთავარია გამოინახოს საშუალებანი ინფექციის სტიმულაციისა მწერებს შორის, შეიქმნას მისი კერები, რომელიც გამოიწვევენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელთა თანდათანობითს მოსპობას.

მწერების დაავადება ბევრია. მათ იწვევენ მიკროორგანიზმები — სოკოები, ბაქტერიები, ვირუსები, მიკროსკოპიული ჭიები — ნემატოდები. საბჭოთა მეცნიერებმა ყველაზე მეტ წარმატებებს მიაღწიეს სპოროვანი ბაქტერიებისაგან დამზადებული მიკრობიოლოგიური პრეპარატების შექმნაში. სპოროვანი ბაქტერიები უფრო ხელმისაწვდომია მეცნიერული კვლევისათვის. ისინი მეტ ხანს ინარჩუნებენ გადადების უნარს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბაქტერიები მრავლდება გარემოში და არა მწერებს შიგნით, როგორც ვირუსები.

ახლა, ბაქტერიალურ დაავადებების გამომწვევთა გულდასმით შესწავლის შემდეგ, შერჩეულია მაღალპათოგენური ბაქტერიები, რომლებისგანაც ქარხნებში ამზადებენ ბოსტნის, ტუტის და ბალის მავნებელთა წინააღმდეგ საბრძოლველ პრეპარატებს. ამ პრეპარატებიდან ყველაზე მეტი აღიარება ჰპოვა „დენდრობაცილინმა“ და „ენტომბაქტერინ-3“-მა. პირველი შექმნა ირკუტსკის უნივერსიტეტმა ციმბირის პარკმეურეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მეორე შემუშავებულია მცენარეთა დაცვის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის მიკრობიოლოგიური მეთოდის ლაბორატორიაში. ამ პრეპარატის შექმნისათვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები ოლგა შვეცოვა და ნიკოლოზ ფედორინჩიკი სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს მედლით იქნენ დაჯილდოებულნი.

ერთი გრამი „ენტომბაქტერინ-3“ შეიცავს ბაქტერიების საშუალოდ 30 მილიარდ სპორას და ამდენსავე მაღალტოქსიკურ ცილოვან კრისტალს. ცილოვანი კრისტალები ძალიან მოკლე ხანში ანდენენ დამღუპველ მოქმედებას მწერის ორგანიზმზე. ხდება ისეც, რომ მწერი რამდენიმე დღეღამის განმავლობაშიც არ იღუპება — დამბლავდება და საშინი აღარ არის მცენარისათვის.

გამოყენების დიაპაზონითა და ტოქსიკურობით ეს პრეპარატი მთელ მსოფლიოში ცნობილ ბაქტერიალურ პრეპარატებს აღემატება. ახლა უკვე გამოვლენებულია 35-ზე მეტი სახეობის მავნე მწერები, რომლებსაც ეს პრეპარატი სპობს. 1959-1960 წლებში დამზადებულ იქნა „ენტომბაქტერინ-3“-ის საცდელი პარტია -500 კილოგრამი. ეს პარტია დაიგზავნა საბჭოთა კავშირის 25 რაიონში ფართო ცდებისათვის იმ მწერების წინააღმდეგ, რომლებიც ზიანს აყენებენ ბოსტნეულ და ხილ-კენკრის კულტურებს, აგრეთვე ბაღ-პარკების ნარგავებს. პრეპარატი გამოსცადეს სუფთა სახით და ზოგიერთ შხამქმიკატებთან შეხამებით, რომლებიც იწვევდნენ მწერის ორგანიზმის დასუსტებას, უფრო აადვილებდნენ მის დაავადებას. პრეპარატის ორი წლის საველე გამოცდამ კარგი შედეგები აჩვენა ვაშლის, ხილის, კომბოსტოს და სხვა სახეობათა ჩრჩილთან, რგოლურა პარკხვეიასთან და სხვა მავნებლებთან ბრძოლაში. მავნებლების სიკვდილიანობა 90-100 პროცენტს შეადგენდა.

პრეპარატი სრულიად უვნებელია ადამიანისათვის, შინაური პირუტყვის, ფუტკრისა და სხვა სასარგებლო მწერებისათვის, რასაც სხვა შხამქმიკატებზე ვერ ვიტყვით. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნას კულტურული მცენარის განვითარების ყოველ ფაზაში, ყვავილებისა და მოსავლის აღების პერიოდშიც კი. ბაქტერიალური პრეპარატის გამოყენების ხერხები იგივეა, რაც შხამქმიკატებისა: შეფრქვევა ან სხურება. იყენებენ ჩვეულებრივ აპარატურას. გათვალისწინებულია წელს გამოშვებულ იქნას 40-50 ტონა პრეპარატი.

ბაქტერიათა სპორებისა და ცილოვანი კრისტალების გასამრავლებლად მასაზრდოებელ არეს ქარხანაში წარმოადგენს სახამებლის წარმოების ნარჩენები. 30-40 საათს წარმოეს წინასწარი გამრავლება კოლბებში, შემდეგ 35-50 საათს მიმდინარეობს მასობრივი გამრავლება რეაქტორებში. რეაქტორიდან სითხეს სეპარატორში ასხამენ. აქ იგი იწურება, ხოლო ბაქტერიოლოგიური მასა იგზავნება სახმობ განყოფილებაში, შემდეგ ფხვნილად იფქვება. პრეპარატში შეჰყავთ მცირეოდენი კაოლინი, რომ მას შეეძლოს ერთთვეს და მეტ ხანს შერჩეს ფოთლებს (თუ ძლიერი წვიმები არ იქნა).

საუბრის დასასრულს ნიკოლოზ ფედორინჩიკმა მიჩვენა პატარა კოლოფი მორუხო ფხვნილით.

— მალე, — მითხრა მან, — მებაღეებსა და მებოსტნეებს შეეძლებათ „სოიუზრეაქტივის“ ყოველ მაღაზიაში იყიდონ ასეთი კოლოფები.

ნ. ბოლგაროვი.

რეიკიავიკიდან თბილისში

როგორც ვიუწყებოდით, ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკე ქალიშვილი მსოფლიოს ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი წარმატებით გამოვიდა ვაჟთა საახალწლო საერთაშორისო ტურნირებში ჰასტინგსა და რეიკიავიკში.

რეიკიავიკიდან ნ. გაფრინდაშვილი და მ. ტალი ლონდონს ეწვევიენენ, სადაც ორი დღე დაჰყვებენ. ამ დღეებში ჩვენი მოჭადრაკეები სამშობლოში დაბრუნდნენ, გუშინ კი ნ. გაფრინდაშვილი თბილისში ჩამოვიდა.

„ბიშლეტის“ სტადიონზე

ოლიმპიური ასპარეზობის შემდეგ საბჭოთა მოციგურავეები ნორვეგიას ეწევიენენ და „ბიმლეტის“ სტადიონზე მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო ასპარეზობაში. წარმატებით გამოვიდა ანტს ანტსონი, რომელმაც 3.000 მეტრი გაირბინა 4 წუთსა და 27,3 წამში და ახალი მსოფლიო რეკორდი დამყარა. ცნობილმა მოციგურავე კ. იუჰანსენმა მეორე ადგილი დაიკავა (4 წუთი და 28,7 წამი).



ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი

15 თებერვალს

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის

კონცერტი

სსრ კავშირის სახალხო არტისტების, სახელმწიფო პრემიის ლაურეატების

ნინო რამიშვილისა

და

ილიკო სუხიშვილის

მხატვრული ხელმძღვანელობით. დასაწყისი საღამოს 8 ს. ბილეთები იყიდება.

ქოგბურთის კრებაზე

სვერდლოვსკი, 12 თებერვალი. (საკდესი). ჩვენი ქვეყნის მეორე ჩოგბურთელმა ირინე რიაზანოვამ (თბილისი) ანგარიშით 2:6, 6:2, 2:6 წაიგო შეხვედრა 20 წლის ტალინელ ტიუ კივისთან ზამთრის საკავშირო მეჯიბრების მეოთხედფინალში, ხოლო მესამე ჩოგბურთელმა ლარისა პრეობრაჟენსკაიამ (მოსკოვი) — მოსკოველ ელენე პოტანინასთან — 1:6, 3:6. ანა დმიტრიევამ (მოსკოვი) ძლივსძლივობით გაიმარჯვა ჩვიდმეტი წლის ალა ივანოვასთან (თბილისი) შეხვედრაში — 6:8, 6:4, 6:2. ნახევარფინალებში შეხვდებიან დმიტრიევა-პოტანინა და კიეველი ტიტოვა-კივი.

ვინ სად გადავიდა?

პროფესიული კავშირების სასპორტო საზოგადოებათა საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ ფეხბურთელთა ერთ ჯგუფს „ა“ კლასში თამაშის ნება დართო.

მოსკოვის „სპარტაკში“ ჩარიცხული არიან ი. ვარლამოვი („ყუბანი“) და ვ. ლისიცინი („ციერატი“), ხარკოვის „ავანგარდში“ — კ. ხაჩატუროვი („ნეფტანიკი“), კიშინიოვის „მოლდოვაში“ — ლ. ბურდი (ყარაგანდის „შახტიორი“), ლვოვის „კარპატში“ — ვ. გუსევი („მოლდოვა“) და დ. დუბროვსკი (ლენინგრადის „ზენიტი“), ოდესის „ჩერნომორეცში“ — ა. გურბიჩი (ხარკოვის „ავანგარდი“), იაროსლავლის „შინიკში“ — ბ. მანკო და გ. ხასინი (გომელის „ლოკომოტივი“), ა. მასლიონკინი („სპარტაკი“), ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ — ვ. ურინი („დაუგავა“).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

კინო
13 თებერვალი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, საქართველო, კოსმოსი— **არაბეთის ახალი ფილმების ფესტივალი,** სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი — **უჩვეულო ქალაქი,** კომკავშირელი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), კოლხიდა, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კოლმეურნე, თანამგზავრი, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **საუკუნოდ შენი,** ოფიცერთა სახლი, ნაკადული, კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი — **ყოფნა-არყოფნა,** პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი — **სამი მუშკეტერი** (I-II სერია), ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **კარლტონ ბრაუნი** — **დიპლომატი,** გაზაფხული, კიროვის სახელობის პარკი — **სახლი მწვანეზე.**

თეატრები
13 თებერვალი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დემონი (მე-13 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი** — სამგროშიანი ოპერა (მე-11 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **მარჯანიშვილის სახელობის** — ნოველების საღამო (მე-4 აბონ. მე-2 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** — საჭიროა მატყუარა (მე-3 აბონ. მე-6 წარმოდგენა), **ვახო აბაშიძის სახელობის** მუსიკალური კომედიის (რკინიგზელთა სახლში) — სამი უფროსის მსახური, **თოჯინების ქართული** — სიცოცხლის ყვავილი (დღის 11 ს.), კომბლე (დღის 2 ს.).

ტელევიზია
13 თებერვალი

12.00 — კინონარკვევი „მთები და წლები“, 12.20 — მხატვრული ფილმი „თვითმფრინავების გუგუნი და მიწა“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა“, 19.15 — გადაცემა — „მეცნიერება წარმოებას“, 19.30 — კინონარკვევი „ვოლგის განთიადი“, 19.50 — განცხადებები, 20.00 — გადაცემა — „სიახლენი ატმოსფეროს შესწავლაში“, 20.15 — კინონარკვევი „მთები და წლები“, 20.35 — ბალეტის საღამო, 21.05 — მხატვრული ფილმი „თვითმფრინავების გუგუნი და მიწა“, — 22.15 — ახალი ამბები.

პირველი პროგრამით
რადიო
14 თებერვალი

06.35 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები, 08.30 — ჩეხოსლოვაკური მუსიკა, 11.15 — კონცერტი-სუბბარი — „სოციალისტური რეალიზმი საბჭოთა მუსიკაში“ (გადაცემა პირველი), 12.10 — გზეთ „ნორჩი ლენინელის“ ფურცლებზე, 12.20 — ქართული საოპერო მუსიკა, 13.40 — აზერბაიჯანული სიმღერები, 17.15 — მუსიკალური ლექსიკონი, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.20 — მასწავლებელთა სახლების თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი, 18.45 — შოპენის პოლონეზები, 19.30 — გადაცემა — „დღეების ძახილი“, 19.45 — სიმღერები საქართველოს სახელმწიფო კაპელის შესრულებით, 20.15 — „ძილისპირული“, 20.30 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!“, 21.30 — რადიოჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 23.30 — ჩაიკოვსკის საბალეტო მუსიკა.

კომუნისტი
КОМУНИСТИ
ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 3-08-67 ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10, განყოფილებებისა: პარტიული 9-87-61, მრეწველობის — 3-20-43, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის უცხოეთის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის—3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების 3-35-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი ბისამართი და ტელეფონები

ᲡᲓ 01064

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.